სასესხო ხელშეკრულება

2008 წლის 24 ნოემბერს საფრენგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს (საქართველოს მთავრობას) შორის ხელმოწერილი ფინანსური პროტოკოლის განხორციელების მიზნით

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოქმედ NATIXIS-სა

და

საქართველოს მთავრობის სახელით მოქმედ
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

შორის

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

მუხლი 1 – სესხის საგანი და მოცულობა
მუხლი 2 – სესხის გამოთხოვის უფლების მინიჭება
მუხლი 3 – სესხის ჩამორიცხვის წინაპირობები
მუხლი 4 – სესხის ჩამორიცხვა
მუხლი 5 – ძირითადი თანხის დაბრუნება – სესხის პროცენტების გადახდა
მუხლი 6 – კონტრაქტთან დაკავშირებული მოთხოვნები და გამონაკლისები
მუხლი 7 – გადახდის ვალუტა და ადგილსამყოფელი
მუხლი 8 – კონტრაქტის ფარგლებში გაცემული გარანტიების საფუძველზე მიღებული თანხების დაბრუნება
მუხლი 9 – გადასახადები – საბაჟო გადასახდელები - სხვა ხარჯები
მუხლი 10 – პროცენტი ვადაგადაცილებულ გადასახდელზე
მუხლი 11 – სესხის შეწყვეტა – სესხის ვადამდე გადახდის მოთხოვნა
მუხლი 12 – NATIXIS-ისთვის გადახდილი თანხების გამოყენება
მუხლი 13 – კანონმდებლობა
მუხლი 14 – ადგილსამყოფელის არჩევა
მუხლი 15 – ინტერპრეტაცია – გადაუჭრელი საკითხები - დავები
მუხლი 16 – ძალაში შესვლა
დანართი ზოგადი საინსტრუქციო წერილის მოდელი

შესავალი

ითვალისწინებენ რა, საქართველოს მთავრობასა და **საფრანგეთის რესპუბლიკის** მთავრობას შორის 2008 წლის 24 ნოემბერს ხელმოწერილ ფინანსურ პროტოკოლს, შემდგომში " პროტოკოლი", რომლის თანახმადაც საფრანგეთის მთავრობა საქართველოს მთავრობას გამოუყოფს სახელმწიფო სესხს, შემდგომში "სესხი", არაუმეტეს **ოთხი მილიონ ექვსასოთხმოცდაათი ათასი (4 690 000) ევროს** ოდენობით,

ეს სესხი განკუთვნილია თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის და საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ნავიგაციისთვის განკუთვნილი სისტემის და მასთან დაკავშირებული მოწყობილობის საფრანგეთში შეძენისთვის, პირველადი და მეორადი რადარებისა და საჭირო აღჭურვილობის ჩათვლით, როგორც ეს ფინანსურ პროტოკოლშია აღნიშნული,

გამონაკლისის სახით, ეს **სესხი** ასევე დააფინანსებს საქართველოს ან უცხოური საქონლის და **მომსახურების** შესყიდვას არსებული ფინანსური მხარდაჭერის 20%-ის ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ კონტრაქტების განხორციელება მოხდება ფრანგი მომწოდებლების პასუხისმგებლობის ქვეშ,

მხედველობაში იღებენ რა, რომ პროტოკოლის 4-ე მუხლის მიხედვით **საქართველოს მთავრობის** სახელით **მოქმედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა** და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით **მოქმედ NATIXIS**-ს შორის ხელი უნდა მოეწეროს სასესხო ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს სესხის განხორციელებასთან და სესხის გადახდასთან დაკავშირებულ დეტალებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის სახელით და წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბატონი ნიკა გილაურის მიერ,

ერთის მხრივ,

და

NATIXIS, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით და წარმოდგენილია ინსტიტუციონალური საქმიანობის დირექტორის მოადგილის, ბატონი ბერნარ ლემპერიერის მიერ

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 – სესხის საგანი და მოცულობა

სესხი, რომლის მოცულობაა არაუმეტეს ოთხი მილიონ ექვსასოთხმოცდაათი ათასი (4 690 000) ევრო, განკუთვნილია საფრანგეთში საქონლისა და მომსახურების შესაძენად, და ითვალისწინებს თბილისის აეროპორტისათვის იმ სისტემის მიწოდებას, რომელშიც შედის პირველადი რადარი, მეორადი რადარი და შესაბამისი აღჭურვილობა.

ტრანსპორტირება ჩაითვლება როგორც ფრანგული მხარის მომსახურება, თუ ის განხორციელდება ფრანგი გემთმფლობელის კონოსამენტის, ან ფრანგული საჰაერო გადაზიდვების კომპანიის წერილის, ან ფრანგი საავტომობილო გადამზიდველის წერილის საფუძველზე და საფრანგეთის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ დამოწმებულია, როგორც ფრანგული მხარის მომსახურება.

სატრანსპორტო დაზღვევა ჩაითვლება ფრანგული მხარის მომსახურებად, თუ ის განხორციელებულია ფრანგულ ბაზარზე უფლებამოსილი კომპანიის მიერ.

ამასათან, ფინანსური პროტოკოლის პირველი მუხლის დებულების თანახმად, დაფინანსება შეიძლება გავრცელდეს იმ მასალებსა და მომსახურებაზე, რომლებიც არ არის ფრანგული წარმოშობის.

სესხი გაიცემა **NATIXIS** – ის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ, წინამდებარე ხელშეკრულების 2-ე, 3-ე და 4-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

მუხლი 2 – სესხის გამოთხოვის უფლების მინიჭება

წინამდებარე პროტოკოლის ფარგლებში დარეგისტრირებულ კონტრაქტებში მონაწილე მხარეებს არ შეუძლიათ შესთავაზონ ან მისცენ მესამე პირს, თხოვონ, დაეთანხმონ ან შეიპირონ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავიანთ ან სხვის სასარგებლოდ, ნებისმიერი შეუსაბამო სარგებელი, ფულადი ან სხვა სახის, რომელიც უკავშირდება ან შეიძლება დაუკავშირდეს არკანონიერ ქმედებას ან კორუფციას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და **NATIXIS**–ი ადასტურებენ, რომ მსგავს კონტრაქტებს არ ჰქონია და არც შემდგომში ექნება ადგილი.

პროტოკოლში აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის ამავე პროტოკოლის მე-6 მუხლის თანახმად დარეგისტრირებულ და მის ფარგლებში საფრანგეთის მომწოდებელსა და შპს „საქაერონავიგაცია"-ს (შემდგომში „ქართველი მყიდველი") შორის ხელმოწერილ ყოველ კონტრაქტს შემდგომში ეწოდება "კონტრაქტი". **NATIXIS**–ს გადაეცემა აღნიშნული კონტრაქტის ერთი ეგზემპლარი, რომელზეც არის საქართველოში საფრანგეთის საელჩოს ეკონომიკური მისიის ხელმძღვანელის (საქართველოს საკითხებში კომპეტენტური პირი) ბეჭედი; აღნიშნული პირი თავისი ხელმოწერით აღნიშნავს პროტოკოლის ფარგლებში დაფინანსების თანხის ოდენობას.

კონტრაქტის ამ ეგზემპლარისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სათანადოდ შევსებული ზოგადი საინსტუქციო წერილის მიღებისას (ნიმუში თან ერთვის), რომელიც წარმოადგენს ფრანგი მომწოდებლისათვის გადახდის ნებართვას, **NATIXIS**-ი ფრანგ მომწოდებელს შეატყობინებს პროტოკოლის ფარგლებში კონტრაქტის დარეგისტრირებას. გარდა ამისა, **NATIXIS**–ი ფრანგ მომწოდებელს მოსთხოვს დაექვემდებაროს გამოყოფილი თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და აღებული ვალდებულებების შესრულების შესაძლო კონტროლს, განსაკუთრებით კი მათ შესაბამისობას ფრანგული ფინანსური პროტოკოლებით გათვალისწინებულ წესებთან.

მას შემდეგ რაც ფრანგი მომწოდებელი დაეთანხმება აღნიშნულ მოთხოვნას, **NATIXIS** იძლევა სესხის ჩამორიცხვის უფლებას, რომელიც არის ეკონომიკური მიხიის ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული თანხის 100%.

მუხლი – 3 სესხის ჩამორიცხვის წინაპირობები

მას შემდეგ, რაც გაიცემა სესხის ჩამორიცხვის უფლება, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების 2-ე მუხლში, ამ ხელშეკრულების 4-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე სესხი ჩაირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება შემდეგი პირობები:

ა) **NATIXIS**–ს გადაეცემა წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ხელმოწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ყოველი კონტრაქტისათვის:

- **NATIXIS**– გადაეცემა ქართველი მყიდველის წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთები და ხელმოწერის ნიმუშები, თუ ფრანგი მომწოდებლის გადახდისათვის აუცილებელი საბუთები დადასტურებულ უნდა იქნას ქართველი მყიდველის წარმომადგენლების მიერ;

- პირველი წინასწარი გადახდის შემდეგ, ფრანგი მომწოდებლის მიერ **NATIXIS**–სათვის კონტრაქტის ძალაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემა.

მუხლი 4 – სესხის ჩამორიცხვა

ყოველი კონტრაქტის თანხის პირველი ნაწილი შეადგენს საკონტრაქტო ღირებულების 10%-დან 20%-მდე, ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯების გარეშე.

რაც შეეხება ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯებს, გაგზავნამდე არანაირი რეგლამენტი არ მოქმედებს.

სესხის ყოველი ჩამოირიცხება ფრანგი მომწოდებლის სასარგებლოდ, კონტრაქტის ფარგლებში, **NATIXIS** –სათვის კონტრაქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლების წარდგენის საფუძველზე.

თუ **NATIXIS** –ს მიიჩნევს, რომ აუცილებელია სხვა დოკუმენტები, რომლებიც მას საშუალებას მისცემს შეამოწმოს სესხის ჩამორიცხვის მოთხოვნა შეესაბამება თუ არა ფინანსური პროტოკოლების ფრანგულ წესებს, იგი ამ დოკუმენტებს ფრანგ მომწოდებელს მოსთხოვს.

NATIXIS ფრანგ მომწოდებელს კუთვნილ თანხას გადაუხდის სესხის თანხებიდან 2-ე მუხლში გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ზემოთხსენებული დოკუმენტების ასლების შემოწმებისას **NATIXIS** – ის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება იმით, რომ გააკონტროლოს რამდენად შეესაბამებიან ისინი კონტრაქტით გათვალისწინებულ გადახდის პირობებს და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, იმ ფარგლებში, რის უფლებასაც ანიჭებს *დოკუმენტის კრედიტების წესები და ჩვეულები (ბოლო ვერსია).*

NATIXIS ფრანგ მომწოდებელთან ახდენს პირდაპირ ანგარიშსწორებას საჭირო დოკუმენტების მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

ყოველი კალენდარული კვარტლის ბოლოს **NATIXIS** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნის ამონაწერს, ამ კვარტლის განმავლობაში ჩამორიცხული თანხების შესახებ. ეს ამონაწერი დააზუსტებს ყოველი ჩამორიცხვის თარიღს და ჩამორიცხული თანხის ოდენობას.

NATIXIS –ის მიერ 2-ე, 3-ე და 4-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ფრანგ მომწოდებელთან ანგარიშსწორება ნიშნავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2-ე მუხლში აღნიშნული ზოგადი საინსტრუქციო წერილით **NATIXIS**–სისათვის მიანიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას და ადასტურებს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისათვის გამოყოფილი სესხის თანხების ათვისებას.

<u>მუხლი 5 – ძირითადი თანხის დაბრუნება – სესხის პროცენტების გადახდა</u>

NATIXIS-ის სასარგებლოდ თანხების დაბრუნების უფლება გამომდინარეობს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის სესხის სახით განხორციელებული გადახდებიდან. სესხი დაიყოფა თანმიმდევრულ ტრანშებად და ყოველი ტრანში **NATIXIS** –ის მიერ გამოტანილი იქნება კალენდარული კვარტლის განმავლობაში.

სესხის ყოველი ტრანში, რომლის ხანგრძლივობაა თვრამეტი (18) წელი, ნაწილ-ნაწილ დაიფარება თორმეტი (12) წლის განმავლობაში, თანმიმდევრულად, ოცდაოთხი (24) ნახევარწლიანი ინტერვალით, პირველი ამგვარი გადახდა მოხდება იმ კალენდარული კვარტლის დასრულებიდან სამოცდათვრამეტი (78) თვის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მოხდა თანხების ჩამორიცხვა.

სესხის ყოველ ტრანშზე წლიური პროცენტი შეადგენს ერთ მთელ ერთ მეათედ პროცენტს (1,1%), რომელიც დაერიცხება სესხის ათვისებულ და დაუბრუნებელ ძირითად თანხას.

პროცენტის დარიცხვა იწყება ყოველი ტრანშის ჩამორიცხვის თარიღიდან და ეფუძნება სამას სამოცდაცხრამეტ (360) წელიწადს და ოცდაათდღიან (30) თვეს. მათი გადახდა მოხდება ნახევარწლიანი ინტერვალით, დანიშნულ ვადაში. პირველი გადახდა უნდა მოხდეს იმ კალენდარული კვარტლის ბოლო დღიდან ექვსი (6) თვის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მოხდა სესხის ჩამორიცხვა.

ყოველი კალენდარული კვარტლის ბოლოს სესხის ყოველი ტრანშისათვის **NATIXIS** როგორც კი შეძლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნის ძირითადი თანხისა და პროცენტების დაფარვის გრაფიკს, რომელსაც ასევე დაურთავს 4-ე მუხლში აღნიშნულ სესხის თანხების ჩამორიცხვის ამონაწერს.

გარდა შეცდომისა და გამოტოვებისა, სესხის დაფარვის გრაფიკი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით და მის ინტერესებში მოქმედი **NATIXIS**-სათვის სესხის დანიშნულ ვადებში გადახდის უპირობო და უცვლელ ვალდებულებას.

ყოველ გადახდის დროს გადასახდელ თანხას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გადარიცხავს **NATIXIS** –ის ანგარიშზე No: 30007 99999 63565775000 89.

თუ ძირითადი თანხის ან პროცენტების გადახდის ვადა ემთხვევა საფრანგეთში უქმე დღეს, იგი გადატანილი იქნება პირველ მომდევნო სამუშაო დღეს.

აღნიშნული თანხის მიღებისას, **NATIXIS** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაუდასტურებს თანხის მიღებას.

მუხლი 6 – კონტრაქტთან დაკავშირებული მოთხოვნები და გამონაკლისები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ყველა ვალდებულება, განსაკუთრებით კი ძირითადი თანხისა და პროცენტების დანიშნულ ვადაში გადახდა, დამოუკიდებელია იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც კონტრაქტის ფარგლებში ქართველ მყიდველსა და ფრანგ მომწოდებელს აქვთ აღებული.

აქედან გამომდინარე, არავითარი მოთხოვნა ან გამონაკლისი, რომელიც კონტრაქტის გამო შეიძლება ჰქონდეს ქართველ მყიდველს ფრანგი მომწოდებლის მიმართ, არ შეიძლება დაუპირისპირდეს **NATIXIS** –ს და, მაშასადამე, გავლენა იქონიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების დაბრუნებაზე.

მუხლი 7 – გადახდის ვალუტა და ადგილსამყოფელი

ყოველი კონტრაქტის თანხა მოცემულია ევროში.

სესხი გაიცემა და ანაზღაურდება ევროში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო NATIXIS –ს სესხს გადაუხდის პარიზში მის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით: No: 30007 99999 63565775000 89, D.A.L/P.E.E. – სესხი No : ———

მუხლი 8 – კონტრაქტის ფარგლებში გაცემული გარანტიებიდან მიღებული თანხების დაბრუნება

იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტის ფარგლებში ქართველი მყიდველის სასარგებლოდ გაიცემა გარანტიები (საბანკო გარანტიები, თავდებობა), **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** ქართველ მყიდველს აცნობებს, რომ გარანტიის საფუძველზე მიღებული პროდუქტი უნდა გადაეცეს **NATIXIS**-ს. აქედან გამომდინარე, ამ გარანტიების ტექსტში უნდა იყოს პუნქტი იმის თაობაზე, რომ გარანტიების საფუძველზე მიღებული თანხები პირდაპირ და მთლიანად გადაერიცხება **NATIXIS** -ს.

იმ შემთხვევაში, თუ ამ გარანტიებს კონტრგარანტიები დაფარავს, მაშინ კონტრგარანტორმა უნდა დაადასტუროს, რომ პირდაპირ **NATIXIS** –ს გადაუხდის მისი გარანტიების ამოქმედების საფუძველზე მიღებულ თანხებს.

ამ გარანტიების საფუძველზე **NATIXIS** –ის მიერ მიღებული თანხების გამოყენება მოხდება 12-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 9 – გადასახადები – საბაჟო გადასახდელები – სხვა ხარჯები

სესხის თანხებიდან არ დაფინანსდება არანაირი პირდაპირი ან არაპირდაპირი გადასახადები, საბაჟო გადასახდელები, საევალდებულო მოსაკრებლები ან ადმინისტრაციული ხარჯები საქართველოში.

იმისათვის, რომ ამ პროტოკოლით გათვალისწინებული ფინანსური სახსრები სრულად მოხმარდეს საქართველოს განვითარებას, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ პროტოკოლის ფარგლებში დარეგისტრირებული კონტრაქტებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება, ფრანგული საწარმოების ტექნიკური დახმარების ჩათვლით, ასევე იმპორტი, ექსპორტი, შესყიდვა, გამოყენება ან ფლობა პროტოკოლით გათვალისწინებული მიწოდებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურებისა, თუ დაექვემდებარება საქართველოში რაიმე სახის სახელმწიფო გადასახადების, საბაჟო გადასახდელების ან საქართველოში საევალდებულო მოსაკრებლების გადახდას, მაშინ ასეთი სახელმწიფო გადასახადების, საბაჟო გადასახდელების ან მოსაკრებლების მიუხედავად მათი შინაარსისა და ბუნებისა, გადახდა დაეკისრება ქართველ მყიდველს.

ამასთან, სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა და წინამდებარე პროტოკოლის დადებასთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდა მოხდება საქართველოში არსებული ვადასახადების გარეშე. ასევე, თუ რაიმე მოვლენა ხელს შეუშლის გადასახდელი თანხების სრულად გადახდას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო NATIXIS–ს პირველივე მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გადაუხდის განსხვავებას.

წინამდებარე სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საფრანგეთის კანონმდებლობით დაწესებული ნებისმიერი საბაჟო გადასახდელი, ნებისმიერი გადასახადი, მარკების საფასური, არსებული ან შემდგომში დაწესებული, გადახდილი უნდა იქნას NATIXIS–ის მიერ.

<u>მუხლი 10. პროცენტი ვადაგადაცილებულ გადასახდელზე</u>

მე-11 მუხლის მოთხოვნების შეუზღუდავად, ე.ი. ისე, რომ მე-10 მუხლის მოთხოვნებმა არ შეზღუდოს თანხის წინასწარ დაბრუნების მოთხოვნის უფლება ან დააწესოს გადახდის რაიმე სხვა ვადა, საქართველოს ფინანსთა სმინისტროს მიერ ძირითადი თანხის ან პროცენტის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობა გამოიწვევს გადახდის დაგვიანებისათვის პროცენტის დარიცხვას გადასახდელი ვადიდან რეალური გადახდის დღემდე.

პროტოკოლის 4-ე მუხლის თანახმად, გადახდის დაგვიანების პროცენტი შეადგენს წლიურ სამი მთელი ოთხმოცდაცხრამეტ მეასედ (3,99%-ს) პროცენტს დამატებული სამი (3%) პროცენტი რაც საერთო ჯამში შეადგენს წლიურ ექვს მთელ ოთხმოცდაცხრამეტ მეასედ (6,99%) პროცენტს. თავის მხრივ, თუ ვადაგადაცილებული საპროცენტო გადასახდელების გადახდა არ მოხდება მთელი წლის განმავლობაში, მათ დაერიცხება ზემოხსენებული (6.99%) პროცენტი.

<u>მუხლი 11 – სესხის შეწყვეტა – სესხის ვადამდე გადახდის მოთხოვნა</u>

სესხის არანაირი ახალი ტრანშის ჩამორიცხვა არ შეიძლება ეთხოვოს, NATIXIS–ს და NATIXIS–ს უფლება ექნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველივე შეტყობინების საფუძველზე მოსთხოვოს სესხად გაცემული ყველა თანხების უკან დაბრუნება შემდეგი გარემოებებიდან ერთ-ერთის არსებობისას:

- კონტრაქტის შეწყვეტა, გაუქმება, მისი ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტა ნებისმიერი მიზეზით; სესხის შეწყვეტა და სესხის ვადამდე გადახდის მოთხოვნა გავრცელდება სესხის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც გაუქმებული ან შეწყვეტილი კონტრაქტითაა გათვალისწინებული. თუმცა, ამ შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თხოვნით NATIXIS–ს შეუძლია საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოების თანხმობით ძალაში დატოვოს უკვე გაცემული სესხი,
- თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადახდის ვალდებულებათაგან რომელიმეს,
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წინამდებარე

ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის ან ვალდებულების შეუსრულებლობა,

- საქართველოს მთავრობის ნებისმიერი ქმედება ან გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუშლის წინამდენარე ხელშეკრულების შესრულებას,

ზემოთხსენებულ შემთხვევებში სესხის ვადამდე გადახდის მოთხოვნა მოხდება ყოველგვარი ფორმალობისა და იურიდიული გადაწყვეტილების გარეშე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რომელიც გაეგზავნება **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს** 14- მუხლში მითითებულ მისამართზე.

NATIXIS–ს მიერ ზემოთხსენებული უფლებების განხორციელებისას ყოველი შეყოვნება ან რაიმეს გამოტოვება, **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს** მიერ არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ამ უფლებებზე უარის თქმა ან თანხმობა არგადახდაზე.

<u>მუხლი 12 - NATIXIS–სთვის გადახდილი თანხების გამოყენება</u>

5-ე და 10-ე მუხლებით გათვალისწინებული ძირითადი თანხისა და პროცენტის დანიშნულ ვადებში გადახდის გარდა, **NATIXIS**–ს მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, კერძოდ 8-ე და 11-ე მუხლების საფუძველზე მიღებული ნებისმიერი თანხა შემდეგნაირად იქნება გამოყენებული:

- პრიორიტეტულად, მოსალოდნელი დაგვალიანებების დასაფარავად;

შემდეგ:

- ან ძირითადი თანხის გადასახდელად, რომელიც ვალად არის დარჩენილი იმის გამო, რომ მოხდა სესხის გადახდის გრაფიკის შეცვლა;

- ან გამოაკლდება სესხის იმ ჩამორიცხულ თანხებს, რომლებიც ჩამორიცხულ იქნა იმ კალენდარულ კვარტალში, რომლის განმავლობაშიც **NATIXIS** თანხებს მიიღებს;

- ან გამოაკლდება სესხის იმ ჩამორიცხულ თანხებს, როლებიც ჩამორიცხულ იქნა წინა კალენდარული კავარტლების განმავლობაში და შესაბამისად, მოხდა გადახდის გრაფიკის შეცვლა.

<u>მუხლი 13 - კანონმდებლობა</u>

წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელება ექვემდებარება საფრანგეთის კანონმდებლობას.

<u>მუხლი 14 – ადგილსამყოფელის არჩევა</u>

წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებისათვის ადგილსამყოფელი შერჩეულია შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის

საქართველო, თბილისი 0114
ვ. გორგასლის ქ. 16

ელ.ფოსტა:
ტელეფონი:
ტელექსი :
ფაქსი.

NATIXIS
Poste Clients
Direction des Activités Institutionnelles
30, av. Pierre Mendès-France
75013 PARIS (France)

Adresse postale :
Poste Clients
Direction des Activités Institutionnelles
BP 4
75060 PARIS Cedex 02

Mèl : d.a.i.@natixis.com
Télex : 690370
Téléphone : (33 1) 01 58 19 26 42/52
Télécopie : (33 1) 01 58 19 26 70

მუხლი 15 – ინტერპრეტაცია - გადაუჭრელი საკითხები - დავები

თუ წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელების პერიოდში ადგილი ექნება ინტერპრეტაციის პრობლემებს ან წინამდებარე ტექსტით გადაუჭრელ საკითხებს, **NATIXIS** და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეეცდებიან ურთიერთგაგებითა და კეთილი ნებით მონახონ შესაბამისი გამოსავალი წერილების გაცვლის მეშვეობით.

მხარეები შეეცდებიან დავები მოლაპარაკების გზით, ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციისათვის თავიანთ მთავრობებს მიმართონ.

თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, დავას განიხილავენ **საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა და საქართველოს მთავრობა,** რომლებიც მიიღებენ შესაბამის ზომებს მის გადასაჭრელად.

მუხლი 16 – ძალაში შესვლა

წინამდებარე სასესხო ხელშეკრულება, მისი ხელმოწერის შემდეგ, ძალაში შედის ქართული მხარის მიერ ფრანგული მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების დღეს, რომლითაც ქართული მხარე შეატყობინებს ფრანგულ მხარეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით წინამდებარე

ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდა პროცედურები შესრულებულია.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი ფრანგულ და ინგლისურ ენებზე თანაბარი ძალის მქონე ოთხ ორგინალად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს მთავრობის სახელით და მისი
ინტერესების შესაბამისად

NATIXIS